საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სიმონ ჩხაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული ოვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 29 აპრილი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **სიმონ ჩხაიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (3 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **სიმონ ჩხაიძე** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 3 აპრილს, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„დ“ წერის უნარი;

„ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

„ზ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 20 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 20 ქულა;

„გ“ წერის უნარი – 20 ქულა;

„დ“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა;

„ე“ პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში) – 15 ქულა;

„ვ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა;

„ზ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. „კანდიდატი“ 50 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 28 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 18 წელი. კერძოდ:

- 1996-1999 წლები, ბათუმის სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტი, მასწავლებელი;

- 1997-1999 წლები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მასწავლებელი;

- 1998 წელი, შპს დამოუკიდებელი რეგისტრატორი „რეესტრ-ცენტრი“, იურისტი;

- 1998-2000 წლები, სს „ინდუსტრია-ინვესტი“, იურისტი;

- 1999-2000 წლები, შპს „იურიდიულ-საგადასახადო კონსალტინგი“, დირექტორი;

- 2000-2004 წლები, შპს „იურიდიულ-საგადასახადო კონსალტინგი“, თბილისის ფილიალის დირექტორი;

- 2004-2006 წლები, სპს „ალაფიშვილი, ყავლამვილი და ჩხაიძე - GLG იურიდიული ოფისი“, მმართველი პარტნიორი;

- 2004 წელი, აჭარის ა/რ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი;

- 2005-2006 წლები, თავისუფლების ინსტიტუტი, რეგიონალური ომბუდსმენი;

- 2006 წლის 20 თებერვლიდან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე;

- 2016 წლის 14 ივლისიდან, ქუთაისის სააპელაციო სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე;

- 2019 წლის 22 ნოემბრიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს „კანდიდატის“ კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, კომპეტენტურობას, პუნქტუალურობას, პრინციპულობას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, კეთილსინდისიერებასა და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს. გამოკითხული რესპონდენტები „კანდიდატის“ პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას კარგად/საშუალოდ იცნობენ. მათი აზრით, „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები „კანდიდატს“ აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი იყო რესპუბლიკური პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი (1991-2006 წლები).

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. „კანდიდატის“ სახელზე ქ. თბილისში, რეგისტრირებულია უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთი 2000 კვ.მ. და 1200 კვ.მ., ლანჩხუთის რაიონი, სოფ. შუხუთი. მეუღლის სახელზე ქ. თბილისში რეგისტრირებულია ბინა - 29 კვ.მ. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. 2021-2024 წლებში, „კანდიდატს“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი არ უფიქსირდება.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის შესახებ მოძიებულ იქნა ერთი სამოქალაქო საქმე: საჩივრის ავტორი - სიმონ ჩხაიძე, მოპასუხე - სს „ლიბერთი ბანკი“, დავის საგანი - თანხის დაკისრება, შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 მაისის განჩინებით საჩივარი განუხილველი დარჩა. იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. „კანდიდატის“ მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

2.1.7. „კანდიდატს“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 93.5% შემთხვევაში. ასევე, საქმეთა 93.1% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 90.7% შემთხვევაში. „კანდიდატს“, საანგარიშო პერიოდში (1043 დღე), დასრულებული აქვს 431 საქმე, დღეში საშუალოდ 0,4 საქმე.

2.1.8. „კანდიდატმა“ წარმოადგინა სამართლებრივი პუბლიკაციები: „სხვა ობიექტური გარემოება“, როგორც შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი; „სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში“, სახელმძღვანელო (თანაავტორი); „ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო ფურცლის გაცემისას“; „უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის სუბსიდიური ხასიათი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“.

2.1.9. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: ევროკომისიისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტიტუტის (TAIEX) მიერ ჰაგის კონვენციების იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივად

ორგანიზებული ონლაინ ტრენინგი; სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშო შეხვედრა; სამუშო შეხვედრა თემაზე - ბავშვის უფლებათა კოდექსი).

2.1.10. „კანდიდატს" 2005 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.11. „კანდიდატი" ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ: 2014-2019 წლები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი; 2020-2022 წლები, თბილისის ღია უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი; 2022 წლიდან დღემდე, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები/სტატიები: „დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში - ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი"; „მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე ვალდებულებაში"; ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი); „სხვა ობიექტური გარემოება", როგორც შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი; „სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში", სახელმძღვანელო (თანააცტორი); „ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო ფურცლის გაცემისას"; „უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის სუბსიდიური ხასიათი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში".

„კანდიდატი" არის თსუ-ს დოქტორანტი კერძო სამართლის მიმართულებით, მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე.

2.1.12. „კანდიდატი" ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

2013 წელს, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციამ დაასახელა გასული წლის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოსამართლედ და დაასაჩუქრა სამახსოვრო საჩუქრებით.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატის" საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის" პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი პასუხები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ გარკვეულ

აკრძალვებთან დაკავშირებით არ იყო სრულყოფილი. სრულყოფილი არ იყო მისი მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივრის დასაშვებობის შესახებ. ასევე მკაფიოდ ვერ გამიჯნა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალიწინებული საკითხები ერთმანეთისაგან. ასევე ვერ გაიხსენა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი";

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა";

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა";

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია";

ე) „ფინანსური ვალდებულება".

3.2. „კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, შესაბამისად მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. „კანდიდატს" გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა. ზოგადად, სხვადასხვა საკითხებზე დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხი, ჩემი აზრით, არ იყო ამომწურავი, შინაარსობრივად შედარებით ზედაპირული, ნაკლებ მოცულობითი იყო.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. თვალსაჩინოა, რომ კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხებზე კონცენტრირება და მისი ანალიზი.

4.1.3. „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის“ მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია.

4.1.4. „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება.

4.1.5. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით, მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე, არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუხმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე.

4.1.6. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს, ამდენად, მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. მიმაჩნია, რომ „კანდიდატს“ შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზება.

4.1.7. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აყენებს კარგ იდეებს/წინადადებებს. ამასთან, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ: 2014-2019 წლები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი; 2020-2022 წლები, თბილისის ღია უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი; 2022 წლიდან დღემდე, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მოსამართელეობის კანდიდატი სიმონ ჩხაიძე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 91 ქულით.

1. სამართლის ნორმების ცოდნა - 18
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 18
3. წერის უნარი - 19
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14
5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში) – 14
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4
7. პროფესიული აქტივობა - 4

ვასილ მშვენიერაძე